



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

**ოქმი N15**

ქ. მარნეული

11.09.2015 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ირაკლი ბურნაძე, ლერი მუმლაძე, ვანო ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი.

**არ ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:** - ნიკოლოზ გოგოჭური.

ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების  
 დღის წესრიგი:**

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
2. მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წითელ ხიდთან მდებარე მთავარ-ანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის ფილიპე (პარმენ) რატიანის განცხადების განხილვის შესახებ.
3. წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინლებაში შესატანი ცვლილების პროექტი. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წითელ ხიდთან მდებარე მთავარ-ანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის ფილიპე (პარმენ) რატიანის განცხადება (რეგ.N893/05. 10.09.2015წ), რომელიც ითხოვს მონასტრის მიერ გახარჯული ელექტროენერჯიის დავალიანების გადაფარვას, ვინაიდან მონასტერში მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და გახარჯული ელენერჯიის ოდენობა ბევრად აღემატება ლიმიტით დაწესებულს. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 11 სექტემბრის N03/3370 წერილით შემოსული დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერაქვში, მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩასატარებელი ჯავახიშვილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების გამარტივებული შესყიდვით შექმნის შესახებ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი